# ბიომეურნეობებისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი დაწესდება



**ხელისუფლება ბიომეურნეობის განვითარებას და ამ მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე, ნოდარ კერესელიძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ავსტრიის განვითარების სააგენტოსგან საქართველომ 4 მილიონ ევრომდე დაფინანსება მოიპოვა სწორედ იმისთვის, რომ დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები და პროგრამები ბიომეურნეობის გასავითარებლად.**

მისივე შეფასებით, საქართველოს უნიკალური შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ ბიოწარმოება ბევრი მიმართულებით განავითაროს. ნოდარ კერესელიძის თქმით, ბიოწარმოების ხელშეწყობა „მწვანე ეკონომიკის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

> *„ბიოწარმოება „მწვანე ეკონომიკის" პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის პირობებში. ჩვენ, მართლაც უნიკალური შესაძლებლობები გვაქვს იმისათვის, რომ ბევრი მიმართულებით ბიოწარმოება განვავითაროთ. სავაჭრო ხელშეკრულებების გათვალისწინებით, რაც გვაქვს ევროკავშირთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან, შეგვიძლია ეს გამოვიყენოთ და მაღალი ღირებულების ბაზრები მოვძებნოთ ამ პროდუქტებისათვის. სწორედ, ამიტომ ბიოწარმოება ამ კუთხით საინტერესოა. ჩვენ უკვე*

*დავასრულეთ მოლაპარაკება ევროკავშირთან და ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან. ავსტრიის განვითარების სააგენტო დაინტერესებულია ამ მიმართულებით იმიტომ, რომ ავსტრიაში საკმაოდ კარგად არის განვითარებული ბიოწარმოება. გვეხმარებიან ფინანსურად. 4 მილიონ ევრომდე მოვიძიეთ დაფინანსება იმისთვის, რომ ჩვენ დავგეგმოთ კონკრეტული ღონისძიებები და პროგრამები“, — განაცხადა მინისტრის პირველმა მოადგილემ.*

მისივე თქმით, ერთ-ერთი, რაც ამ მიმართულებით იგეგმება, საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაციაა.

*„ბიომეურნეობა საკმაოდ რთულად დასანერგი პრინციპია. გადასახადების ლიბერალიზაცია კი, მნიშვნელოვნად წამახალისებელია, მაგრამ გარდა ამისა, ცოდნის მიწოდება არის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამას სჭირდება კომპლექსური მიდგომა, ცოდნა გამოცდილება და.შ. ეს საკმაოდ ხანგრძლივვადიადი პროცესიც არის. ზოგ ბიომეურნეობას წლები სჭირდება იმისათვის, რომ მიიღოს სერთიფიკატი, რომ ის ნამდვილად ბიომეურნეობაა. ამიტომ, ერთია საგადასახდო რეჟიმი, მაგრამ მეორეა, ფერმერის მზაობა, ცოდნა, მიწოდომება და ასევე სახელმწიფოს მხრიდან მხარადჭერა ამ პროცესში. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკის სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან იმისთვის, თუ როგორ ფორმატს მიიღებს ბიომეურნეობებისთვის საშეღავათო, საგადასახადო რეჟიმი“ , — განაცხადა ნოდარ კერესელიძემ.*

IPN